ეთიკის კომისიის

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ხათუნა ჩხაიძე – კოლეგიის წევრი

თეიმურაზ თოდრია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: დ. ც.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.06.2018

საჩივრის რეგისტრაციის №074/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ე. დ.-ის მიმართ, სიითი №....

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ე. დ.-ისთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 01 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა დ. ც.-მა და მოითხოვა ადვოკატ ე. დ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2018 წელს სამოქალაქო საქმეში (მოსარჩელე - მ. მ., მოპასუხე - დ. ც., დავის საგანი - ალიმენტის გადახდის დაკისრება) მისი შეყვარებულის, ვ. ვ.-ის, ინიციატივით და რეკომენდაციით მის ინტერესებს თბილისის საქალაქო სასამართლოში წარმოადგენდა ადვოკატი ე. დ.. 2018 წელს იგივე ადვოკატი, სისხლის სამართლის საქმეში იცავდა ვ. ვ.-ს, როგორც დ. ც.-ისგან დაზარალებულ მხარეს და შესაბამისად მოქმედებდა ამჟამად უკვე ბრალდებულ დ. ც.-ის წინააღმდეგ. საჩივრის ავტორის შეფასებით, ადვოკატი ე. დ. ჯერ კიდევ 10 აპრილისთვის წარმოადგენდა მის ინტერესებს, ამავდროულად იგი ახორციელებდა ვ. ვ.-ის დაცვასაც, რაც

წარმოადგენს ინტერესთა კონფლიქტს და ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ქცევის წესებს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 25 ივნისს ადვოკატმა ე. დ.-მ წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, ხოლო 2018 წლის 06 ივნისს მონაწილეობა მიიღო დ. ც.-ის საჩივრის ზეპირ განხილვაში.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მან მეგობრის ვ. ვ.-ის თხოვნით, რომელთანაც 10 წლიანი მეგობრული ურთიერთობა აკავშირებს, საადვოკატო მომსახურება გაუწია დ. ც.-ს, კერძოდ წარმოადგინა მისი ინტერესები ალიმენტის გადახდის დაკისრებასთან დაკავშირებით სამოქალაქო საქმეზე. გადაწყვეტილება სასამართლომ მიიღო 2018 წლის 2 მარტს და ამით ე. დ.-მ დაასრულა საჩივრის ავტორის წარმომადგენლობა.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ვ. ვ. 2018 წლის 12 მარტს ფიზიკური დაზიანებებით მოხვდა საავადმყოფოში. როგორც ვ. ვ. განმარტავდა, ფიზიკური დაზიანებები მიაყენა დ. ც.-მა.

2.4 ადვოკატს ვ. ვ. დაუკავშირდა საავადმყოფოდან და მათ შორის არსებული მეგობრული ურთიერთობიდან გამომდინარე, სთხოვა დახმარება.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ვ. ვ. დ. ც.-ის მიერ მიყენებული შეურაცხყოფის ფაქტზე დაიკითხა საავადმყოფოში, რასაც ადვოკატი არ დასწრებია. ადვოკატმა ვ. ვ.-ის თხოვნით გამოძიებისათვის დამატებითი ინფორმაციის მიწოდების მიზნით 2018 წლის 19 მარტს პროკურატურაში მიიტანა №.... განცხადება და შემდეგ პროკურატურაში დაესწრო ვ. ვ.-ის, როგორც დაზარალებული მხარის, გამოკითხვას. ადვოკატი მოცემულ მოქმედებებს არ აფასებს საადვოკატო მომსახურების გაწევად და მიაჩნია, რომ ვ. ვ.-ს მეგობრულად ეხმარებოდა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, საქმის არსში გარკვევის შემდეგ უარი განაცხადა დ. ც.-ის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში რაიმე სახით მონაწილეობის მიღებაზე.

3. მოწმის ვ. ვ.-ის პოზიცია:

ადვოკატ ე. დ.-ის შუამდგომლობის საფუძველზე 2018 წლის 16 ივლისს მოწმის სახით გამოიკითხა ვ. ვ.. ვ. ვ.-მ განმარტა, რომ ადვოკატი ე. დ. არის მისი მეგობარი და დ. ც.-ს მან დააკავშირა, როდესაც საჩივრის ავტორს სამოქალაქო საქმეზე დასჭირდა საადვოკატო მომსახურება. ე. დ.-მ დ. ც.-ს სამოქალაქო საქმეზე, რომელიც უკავშირდებოდა დ. ც.-ისთვის ალიმენტის დაკისრებას, წარმატებით გაუწია და დაასრულა მომსახურება. დ. ც.-ის მხრიდან ფიზიკური ძალადობის ფაქტზე ვ. ვ.-მ ე. დ.-ს, როგორც მეგობარს ისე მიმართა. ე. დ.-მ 2018 წლის 12 მარტს ვ. ვ.-ის სახელზე ამოწერა ორდერი, რომლის თანახმადაც, ადვოკატს მისი ინტერესების დაცვა ევალებოდა პოლიციაში საქმის დასრულებამდე. 2018 წლის 19 მარტს ე. დ.-მ ვ. ვ.-ის სახელით პროკურატურაში შეიტანა №..... განცხადება, როგორც ვ. ვ.-ის რწმუნებულმა; 2018 წლის 25 მაისს ადვოკატი ე. დ. დაესწრო დაზარალებულის სახით ვ. ვ.-ის გამოკითხვას, რაც დასტურდება ოქმზე ხელმოწერით. ამით ამოიწურა ადვოკატ ე. დ.-ის მიერ ვ. ვ.-ის საადვოკატო მომსახურება. მოწმის განმარტებით, სამოქალაქო საქმე, რომელზეც ე. დ. უწევდა დ. ც.-ს მომსახურებას და სისხლის სამართლის საქმე, სადაც ე. დ. მას დაეხმარა, ერთმანეთთან კავშირში არ არის.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ე. დ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №..../ სპეციალიზაცია – საერთო. ადვოკატის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე იგი არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 დ. ც.-მა ეთიკის კომისიას მომართა 2018 წლის 01 ივნისს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2018 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე (2009 წლის რედაქცია) არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ე. დ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ე. დ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი 2018 წლის იანვრიდან აპრილის ჩათვლით წარმოადგენდა საჩივრის ავტორის ინტერესებს სამოქალაქო დავაზე - ალიმენტის გადახდის დაკისრებაზე. 2018 წლის მარტში იგივე ადვოკატმა დაიცვა საჩივრის ავტორის ყოფილი შეყვარებული, ვ. ვ., როგორც დაზარალებული მხარე საჩივრის ავტორის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეში. აღნიშნულის გათალისწინებით ადვოკატმა დაარღვია ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპი.

5.2 საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატის ქმედება არღვევს ინტერესთა კონფლიქტს, რადგან ადვოკატს არ შეეძლო ვ. ვ.-ის ინტერესების დაცვა მის წინააღმდეგ, ვინაიდან მანამდე იგივე ადვოკატი მისი ინტერესების დამცველი იყო, საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა შემდეგი მუხლის შესაძლო დარღვევაზე:

"ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის" მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ადვოკატს უფლება არ აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განახორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ".

5.3 საპროცესო კოლეგიის განმარტებით, ინტერესთა კონფლიქტი ისეთი შემთხვევაა, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები არსებული ან ყოფილი კლიენტის მიმართ ან ადვოკატის პირადი ინტერესები ეწინააღმდეგება არსებული ან ყოფილი კლიენტების ინტერესებს ან აუარესებს მათ მდგომარეობას. პირი, რომლის ინტერესებსაც ადვოკატი იცავდა, მოიაზრება ყოფილ კლიენტად; ხოლო პირი, რომლის წარმომადგენლობასაც მიმდინარე პერიოდში ახორციელებს ადვოკატი, მიიჩნევა არსებულ კლიენტად. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგ ადვოკატს გარკვეული ვალდებულებები უნარჩუნდება ყოფილი კლიენტის მიმართ. ყოფილი

კლიენტის მიმართ ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს ადვოკატ-კლიენტს შორის ნდობის შენარჩუნებისა და ადვოკატის მიერ კლიენტისათვის საადვოკატო მომსახურების დროს შეძენილი ინფორმაციის ფლობაზე, რაც ახალი კლიენტისთვის შესაძლებელია არამართებულ უპირატესობას წარმოადგენდეს.[1] ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების არსი იმაში გამოიხატება, რომ კონკრეტული საქმის წარმოებისას ადვოკატმა ყოფილი კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია ახალი კლიენტის სასარგებლოდ არ გაამჟღავნოს და ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დასრულების შემდეგაც შენარჩუნდეს მათ შორის ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა. ეთიკის კომისია ეყრდნობა იმ ვალდებულებების დაცვის აუცილებლობას, რომელიც ადვოკატს გააჩნია ყოფილი კლიენტის მიმართ საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგაც: კონფიდენციალური ინფორმაციისა და ნდობის დაცვის პრინციპებს, ვინაიდან ინტერესთა კონფლიქტი აღნიშნული პრინციპების დარღვევას უკავშირდება.

5.4 კომისია განმარტავს, რომ ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილი ინტერსთა კონფლიქტს ვიწროდ აყალიბებს და ადვოკატს უზღუდავს მხოლოდ ერთი და იგივე საქმეზე წარმომადგენლობას, მაშინ როდესაც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულებას ავრცელებს არსებითად ურთიერთდაკავშირებულ საქმეებზეც. ეთიკის კომისიამ პრაქტიკით გააფართოვა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების პოზიტიური გაგება და დაადგინა, რომ ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება ზღუდავს ადვოკატის მიერ მომსახურების გაწევას არსებითად ურთიერთდაკავშირებულ საქმეებზეც. ,,ადვოკატი, რომელიც ადრე წარმოადგენდა კლიენტს, შემდგომში არ უნდა მონაწილეობდეს იგივე ან საგნობრივად დაკავშირებულ დავაში სხვა პირის წარმომადგენლად, თუ ასეთ დავაში პირის ინტერესები არსებითად ეწინააღმდეგება ყოფილი კლიენტის ინტერესებს..".[2] „ერთი და იგივე" საქმე ნიშნავს, რომ საქმის წარმოება მიმდინარეობს ერთსა და იმავე მხარეებს შორის, იგივე დავის საგანზე, იმავე საფუძვლით. „ერთი და იგივე" საქმის განსაზღვრის კრიტერიუმები წინასწარ ჩამოყალიბებულია და მისი განსაზღვრა სირთულეს არ წარმოადგენს. რაც შეეხება საქმეების ერთმანეთთან არსებითად დაკავშირებულობის საკითხის დადგენას, აღნიშნული ვარაუდს ემყარება და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის შედეგად უნდა დადგინდეს. ორი საქმის არსებითად დაკავშირებულად მიჩნევა შესაძლებელია იმის დადგენის შემდეგ, შეეძლო თუ არა ადვოკატს პირველი წარმომადგენლობისას მიეღო ისეთი კონფიდენციალური ინფორმაცია, რაც მეორე საქმისთვის სასარგებლო იქნება.[3] შესაბამისად, ადვოკატი ვალდებულია, თავი შეიკავოს ახალი კლიენტის სახელით საქმიანობისგან, თუ ყოფილი კლიენტის საქმეების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ადვოკატი ფლობს, ახალი კლიენტისათვის არამართებულ უპირატესობას შეიძლება წარმოადგენდეს. ეთიკის კომისიამ 2011 წლის 24 ივნისს მიღებულ გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე 092/10 დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე განმარტა, რომ „ადვოკატმა ყოფილი კლიენტისაგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია შემდეგში მის

[1] Code of Conduct for European Lawyers, (2006), Article 3.2.3
http://www.ccbe.eu/fileadmin/user_upload/NTCdocument/EN_Code_of_conductp1_1306748215.pdf

[2] ეთიკის კომისიის 2011 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ დისციპლინურ საქმეზე 092/10

[3] John S.Dzienkowski, Professional Responsibility Standarts, Rules & Statutes, 2010-2011 Edition, USA, 2010 Thomas Reuters, 2011, Comment [3], p.37

წინააღმდეგ არ უნდა გამოიყენოს და უნდა აიცილოს ინფორმაციის შესაძლო გამჟღავნების საფრთხის შექმნა.“

5.5 ადვოკატის მიერ კონკრეტული პირისათვის საადვოკატო მომსახურების გაწევა არ გულისხმობს იმას, რომ მას არასდროს ექნება უფლება მოცემული პირის წინააღმდეგ გამოვიდეს სასამართლო დავაში. მსგავსი სახის შეზღუდვას არც ადვოკატის პროფესიული ეთიკის სტანდარტები და არც ეთიკის კომისიის პრაქტიკა ითვალისწინებს, ხოლო რიგ შემთხვევებში საქმის გარემოებებიდან გამომდინარე დავების სამართლებრივად დაკავშირებულად შეფასება მიზნად ისახავს ყოფილი კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვას, ვინაიდან არ მოხდეს ადვოკატის მიერ მისი ახალი კლიენტის სასარგებლოდ გამჟღავნება ან თავად მის მიერ ყოფილი კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ გამოყენება. შესაბამისად, თუ ადვოკატი ყოფილი კლიენტის წინააღმდეგ სხვა დავას აწარმოებს, მაგრამ მოცემულ საქმეზე არ ფლობს ყოფილი კლიენტის საქმისწარმოებისას მიღებულ ისეთ ინფორმაციას, რაც ახალი კლიენტისათვის უპირატესობას შეიძლება წარმოადგენდეს, ადგილი არ ექნება ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების დარღვევას.

5.6 რაც შეეხება ინტერესთა კონფლიქტის დროს მტკიცების სტანდრატს, ყოფილმა კლიენტმა არ უნდა დაასაბუთოს იმაზე მეტი, რომ მიმდინარე დავა, რომელშიც მისი ყოფილი ადვოკატი საწინააღმდეგო ინტერესს წარმოადგენს, მოიცავს საქმეს, რომელიც არსებითად დაკავშირებულია იმ საქმესთან ან მოქმედებებთან, რომელსაც ადვოკატი მის სასარგებლოდ ადრე ახორციელებდა.[4]

5.7 განსახილველ შემთხვევაში, იმისათვის, რომ დადგინდეს ე. დ.-ის მიერ ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის, შესაბამისად ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის პრინციპის დარღვევის ფაქტი, სახეზე უნდა იყოს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის საფუძველები. საჩივრის ავტორის, დ. ც.-ის პოზიცია ემყარება იმ არგუმენტაციას, რომ ადვოკატი ე. დ. ერთდროულად ახორციელებდა როგორც მისი, ასევე ვ. ვ.-ის წარმომადგენლობას. როგორც ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე დგინდება, დ. ც.-ის მიმართ წარმოებულ დავაზე ალიმენტის გადახდის დაკისრებასთან დაკავშირებით, სადაც საჩივრის ავტორის ინტერესებს ადვოკატი ე. დ. იცავდა, გადაწყვეტილება მიღებულია 2018 წლის 02 მარტს; ე. დ.-ის განმარტებით, სასამართლო გადაწყვეტილების მიღებით დასრულდა მისი ურთიერთობა დ. ც.-სთან. ვინაიდან, ადვოკატმა ე. დ.-მ დ. ც.-ისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევა დაასრულა 2018 წლის 2 მარტს, როდესაც საქალაქო სასამართლომ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო ალიმენტის გადახდის დაკისრებასთან დაკავშირებულ დავაზე, დ. ც. 03 მარტიდან წარმოადგენს ე. დ.-ის ყოფილ კლიენტს. ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საჩივრის ავტორი საჩივარში აღნიშნავს თითქოს ადვოკატი ე. დ. აპრილის თვეშიც მისი ადვოკატი იყო და ამ დროს უკვე პარალელურად ეწეოდა დ. ც.-ის საწინააღმდეგო ინტერესის მქონე პირის, ვ. ვ.-ის დაცვას, თუმცა საჩივრის ავტორს არ წარმოუდგენია მტკიცებულება იმისა, რაც დასაბუთებულ ვარაუდს შეუქმნიდა ეთიკის კომისიას, რომ ე. დ.-მ 02 მარტს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შემდეგ არ დაასრულა დ. ც.-ისთვის საადვოკატო მომსახურების გაწევა. საჩივრის დანართით, როგორც დგინდება 2018 წლის 12 მარტს ადვოკატმა ე. დ.-მ ამოწერა ორდერი

[4] Stephen Gillers, Regulations of Lawyers: Problems of Law and Ethics, Eighth Edition, New York, Aspen Publishers, 2009, p. 314

ვ. ვ.-ის პოლიციაში დაცვის მიზნით და ამ დროიდან ვ. ვ. გახდა ადვოკატ ე. დ.-ის არსებული კლიენტი.

5.8 რაც შეეხება ადვოკატ ე. დ.-ის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ვ. ვ. არ ყოფილა მისი კლიენტი, მას ვ. ვ.-ისთვის არ გაუწევია არანაირი საადვოკატო მომსახურება, აღნიშნულს ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით: „ადვოკატთა შესახებ კანონის" მე–2 მუხლის თანახმად, „საადვოკატო საქმიანობა მოიცავს: ადვოკატის მიერ იურიდიული რჩევის მიცემას იმ პირისათვის, რომელმაც მას დახმარებისათვის მიმართა (კლიენტი); კლიენტის წარმომადგენლობას საკონსტიტუციო დავის, სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული სამართლის საქმეზე სასამართლოში, არბიტრაჟში, დაკავების, გამოძიების ორგანოებში; მესამე პირის მიმართ სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას და კლიენტის სახელით ნებისმიერი დოკუმენტაციის წარდგენას; ისეთი იურიდიული დახმარების გაწევას, რომელიც არ უკავშირდება მესამე პირის წინაშე წარმომადგენლობას". საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან დგინდება, რომ 2018 წლის 12 მარტს ადვოკატმა ე. დ.-მ ვ. ვ.-ის სახელზე ამოწერა ორდერი, რომლის თანახმადაც, ე. დ.-ს მისი ინტერესების დაცვა ევალებოდა პოლიციაში საქმის დასრულებამდე. 2018 წლის 19 მარტს ე. დ.-მ ვ. ვ.-ის სახელით პროკურატურაში შეიტანა №..... განცხადება, როგორც ვ. ვ.-ის რწმუნებულმა; 2018 წლის 25 მაისს ადვოკატი ე. დ. დაესწრო დაზარალებულის სახით ვ. ვ.-ის გამოკითხვას, რაც დასტურდება ოქმზე ხელმოწერით. ადვოკატის მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებები საადვოკატო საქმიანობად ფასდება და ადვოკატზე პროფესიული ეთიკის კოდექსი ვრცელდება მიუხედავად იმისა, იგი მომსახურებას პირს საზღაურის სანაცვლოდ უწევს თუ მეგობრობის საფუძველზე. ადვოკატ ე. დ.-ის მიერ განხორციელებული იურიდიული მოქმედებები თავისი შინაარსით წარმოადგენს საადვოკატო საქმიანობას.

5.9 საქმის ფაქტობრივი გარემოებებით დგინდება რომ ადვოკატ ე. დ.-ს ურთიერთდაპირისპირებული ინტერესების მქონე კლიენტების წარმომადგენლობა ერთდროულად არ განუხორციელებია და ამ ნაწილში ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის პოზიციას, თუმცა ინტერესთა კონფლიქტის დადგენისთვის არსებითია რამდენად მიიჩნევა სამოქალაქო საქმე, სადაც ადვოკატი ე. დ. დ. ც.-ის წარმომადგენლობას ახორციელებდა და სისხლის სამართლის საქმე, სადაც იგივე ადვოკატი დ. ც.-ისგან დაზარალებულ პირს, ვ. ვ.-ს იცავდა ერთი და იგივე ან არსებითად ურთიერთდაკავშირებულ საქმეებად.

5.10 მოცემულ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს ორი განსხვავებული საქმე, პირველი სამოქალაქო საქმე ეხება ალიმენტის გადახდის დაკისრებას, რომელზეც გადაწყვეტილება მიღებულია 2018 წლის 2 მარტს, ხოლო მეორე სისხლის სამართლის საქმე ეხება ვ. ვ.-ის მიმართ განხორციელებულ სავარაუდო ცემის ფაქტს, რომელიც სავარაუდოდ განხორციელდა 2018 წლის 12 მარტს და რომელშიც ბრალდებულ პირს დ. ც. წარმოადგენს. ცალსახაა, რომ მოცემული საქმეები ერთი და იგივე საქმეებად ვერ შეფასდება. მიუხედავად იმისა, რომ ორივე დავაში მხარედ ჩართული იყო დ. ც..

5.11 რაც შეეხება მოცემული საქმეების არსებითად დაკავშირებულობის დადგენას, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ უნდა შეფასდეს განსახილველი დავები ხომ არ არის შინაარსობრივად ან საგნობრივად დაკავშირებული; ადვოკატი დ. ც.-ის (ძველი კლიენტი) წინააღმდეგ ხომ არ იყენებს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა სამოქალაქო საქმეში წარმომადგენლობის გაწევისას; ანდა ხომ არ არსებობს მნიშვნელოვანი საფრთხე, რომ წინა წარმომადგენლობისას მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია, არსებულ საქმეში ვ. ვ.-ის (ახალი კლიენტი) ინტერესებისთვის გამოსადეგი იქნება და მას არამართებულ უპირატესობას მიანიჭებს.

5.12 კომისიის შეფასებით, განსახილველ შემთვევაში, დავები არც საგნობრივად და არც შინაარსობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის. ერთი საქმე ეხება დ. ც.-ისთვის ყოფილი მეუღლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდის დაკისრების საკითხს, ხოლო მეორე – ვ. ვ.-ის შესაძლო ცემის ფაქტს. ცხადია, რომ აღნიშნული დავები სამართლის სხვადასხვა დარგს მიეკუთვნება და შინაარსობრივად და საგნობრივად ერთმანეთთან დაკავშირებული არ არის. დ. ც.-ს უნდა დაესაბუთებინა, რომ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმე, რომელშიც მისი ყოფილი ადვოკატი მის საწინააღმდეგო ინტერესს წარმოადგენს, მოიცავდა მოქმედებებს, რომელიც არსებითად დაკავშირებულია იმ სამოქალაქო საქმესთან ან მოქმედებებთან, რომელსაც ადვოკატი მის სასარგებლოდ ადრე ახორციელებდა. მსგავსი მტკიცება დ. ც.-ს არ წარმოუდგენია, ხოლო ის გარემოება, რომ ადვოკატი ადრე მას იცავდა და ეხლა სხვა დავაში მის საწინააღმდეგო ინტერესს წარმოადგენს არ ქმნის ინტერესთა კონფლიქტის მოცემულობას. შესაბამისად, კომისიის პოზიციით დ. ც.-ის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილით, ასევე ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-6 მუხლის „ა" ქვეპუნქტით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 31-ე მუხლით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N074/18 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ე. დ.-ის /სიითი N..../ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ხათუნა ჩხაიძე/

კოლეგიის წევრი: /თეიმურაზ თოდრია/